

საგნის სწავლების მეთოდოლოგია/Subject Teaching Methodology

ლელა ებგვერაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანა ქარცივაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მონიკა გეგენავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შემოქმედებითი წერის გამოწვევები და სარგებელი

DOI: 10.52340/erp.2024.05.13

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოგიდგენთ ორ სხვადასხვა კლასში განხორციელებული შემოქმედებითი წერის შედეგების ანალიზს. პედაგოგიური პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ერთი და იმავე რესურსის გამოყენებით ჩაატარეს შემოქმედებითი წერის აქტივობა. რესურსად გამოყენებულ იქნა ქვიშის თეატრის სპექტაკლი, რომელიც შექმნილია გურამ პეტრიაშვილის „წვიმის მოყვარული კაცის“ მიხედვით. მოსწავლეებმა უყურეს სპექტაკლს, გათიშული ხმით, და მხოლოდ გამოსახულებზე დაყრდნობით შექმნეს ტექსტის საკუთარი ვერსია. აღსანიშნავია, რომ სამიზნე კლასების გამოცდილება და აკადემიური მზაობა საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ასევე, აქტივობა განხორციელდა სხვადასხვა პერიოდში.

პროცესის განხორციელებისა და მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზმა აჩვენა, რომ:

- მზაობისა და გამოცდილების მიუხედავად, ყველა მოსწავლე აქტიურად ჩაერთო პროცესში, შეძლო საინტერესო, ინდივიდუალური ხედვის გამომხატველი ნაშრომების შექმნა; ნაშრომები იყო მრავალფეროვანი; ფაქტობრივად, ყველა ნაშრომში აისახა ტექსტის არსებითი პათოსი: რაღაც ძვირფასის, ამაღლებულის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი;
- გამოცდილებისა და აკადემიური მზაობის განსხვავება აისახა ნაშრომების მოცულობაზე, ტექსტის ორგანიზებაზე, წინადადებების გავრცობისა და სტრუქტურული გამართულობის ხარისხზე, მართლწერის ნორმების დაცვაში;
- ნამუშევრების შინაარსზე გავლენა იქონია განხორციელების პერიოდმა. კლასში, სადაც გაკვეთილი ჩატარდა საზოგადოებრივი აქტიურობის პერიოდში,

მოსწავლეებმა გააქტიურეს სამშობლოს დამოუკიდებლობის, თავისუფლების დაკარგვის, პიროვნული და ეროვნული ღირებულებების თემა.

- შესაბამისი გამოცდილების არმქონე მოსწავლეებთან სტუდენტს დასჭირდა ფსიქოლოგიური ბარიერების გადალახვაზე ზრუნვა, რასაც წარმატებით გაართვა თავი მხარდაჭერისა და წახალისების სტრატეგიების გამოყენებით.

დასკვისთვის ვიტყვით, შემოქმედებითი ტიპის დავალებები საკლასო პრაქტიკის განუყრელი ნაწილი უნდა იყოს, რადგან:

- ასეთი დავალებები ეხმარება მოწავლეებს თვითგამოხატვაში, ავითარებს პიროვნულად.
- გვაწვდის საყურადღებო ინფორმაციას მოსწავლეთა შინაგანი სამყაროს, ღირებულებების, წუხილებისა და მისწრაფებების შესახებ.
- მათი შესრულება ხელეწიფება ფაქტობრივად ყველა მოსწავლეს, თუ გამოვიყენებთ მათ საჭიროებებზე მორგებულ სტრატეგიებსა და აქტივობებს;

საკვანძო სიტყვები: შემოქმედებითი წერა, მოსწავლეთა გამოცდილება და მზაობა, ფსიქო-ემოციური ბარიერები, მოსწავლის შინაგანი სამყარო, სწავლების ეფექტური სტრატეგიები.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში შემოქმედებითი დავალებები უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომელიც ბავშვის განვითარების მრავალ ასპექტზე ახდენს გავლენას. აქტივობები, რომლებიც საკუთარი მოსაზრებების, ემოციებისა და დამოკიდებულებების გამოხატვის საშუალებას იძლევა, პიროვნების ინტელექტუალური, ფსიქო-ემოციური და სოციალური რეალიზაციის წინაპირობას ქმნის. პროცესში მოსწავლეები ხვეწენ იდეების გენერირების, შეფასებისა და არჩევანის გაკეთების უნარებს, აცნობიერებენ საკუთარი იდეებისა და მოსაზრებების უნიკალურობასა და ღირებულებას. იქმნება „დამოუკიდებელი ცხოვრებისა და გაცნობიერებული პერსონალური გადაწყვეტილებების მისაღებად მომზადებული, მოაზროვნე, მამიებელი, ახლის შემოქმედი, ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი, მთელი ცხოვრების განმავლობაში საკუთარი შესაძლებლობების და ინტერესების სფეროების უწყვეტი განვითარების უნარის მქონე მოქალაქის(ზგემი)“ ჩამოყალიბების საფუძველი.

შემოქმედებითი დავალებების ეფექტურად განხორციელება მრავალი გამოწვევის გათვალისწინებასა და დაძლევის მოითხოვს, რომლებიც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია მოსწავლეთა ინტელექტუალურ და ფსიქო-ემოციურ მზაობასთან, მეორე მხრივ, შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება მოგვევლინოს შესაბამისი რესურსებისა და მასალების ნაკლებობა, რაც ტექნოლოგიური და ფინანსური შეზღუდვებით არის განპირობებული. გამოწვევებს ქმნის: განსხვავება მოსწავლეთა აკადემიურ მზაობაში, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარებში, ფსიქოლოგიური ბარიერები, რომლებიც გამოცდილების ნაკლებობით ან დაბალი თვითშეფასებით არის განპირობებული. საგაკვეთილო პროცესში შემოქმედებითი დავალებების შესრულება შეზღუდულია დროის ფაქტორით, რის გამოც მოსწავლეებს ხშირად არ აქვთ საშუალება თანმიმდევრულად განავითარონ იდეები.

ნაშრომში გვინდა გაგიზიაროთ გამოცდილება, რომელიც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტების, ანა ქარცივაძისა და მონიკა გეგენავას, პედაგოგიური პრაქტიკის დროს განხორციელებული შემოქმედებითი წერის აქტივობის პროცესსა და შედეგებს ასახავს და საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

სტუდენტები პედაგოგიურ პრაქტიკას ახორციელებდნენ სხვადასხვა სკოლაში, მე-6 კლასში. პასიური პრაქტიკის პერიოდში მათთვის თვალსაჩინო გახდა რადიკალური განსხვავება მათი პრაქტიკის კლასების მოსწავლეთა გამოცდილებებს შორის. ერთ კლასში მასწავლებელი მუშაობდა ინოვაციური მეთოდებით, საგაკვეთილო პროცესში წახალისებული იყო მოსწავლეთა მსჯელობა, ხშირად სრულდებოდა შემოქმედებითი დავალებები, მოსწავლეები გაერთიანებული იყვნენ „წიგნის კლუბში“, სხვადასხვა ტექსტების განხილვა და მოსაზრებების გაზიარება მათი ყოველდღიურობის ნაწილი იყო. მეორე კლასში მუშაობა მიმდინარეობდა რუტინულად, მოსწავლეებს ძირითადად პასიური როლი ეკისრებოდათ, პრაქტიკულად არ ჰქონდათ შემოქმედებითი დავალებების შესრულების გამოცდილება.

სამიზნე კლასებში განხორციელებული დაკვირვებების გაზიარების შედეგად გაჩნდა იდეა, განეხორციელებინათ ერთგვარი ექსპერიმენტი: სტუდენტებმა დაგვემეს თავიანთ

კლასებში ერთი და იმავე რესურსის გამოყენებით ჩაეტარებინათ შემოქმედებითი წერა, შეედარებინათ აქტივობების მიმდინარეობა და შედეგები. რესურსად შეარჩიეს ქვიშის თეატრის სპექტაკლი გურამ პეტრიაშვილის „წვიმის მოყვარული კაცის“ მიხედვით. მოსწავლეებს უნდა ენახათ სპექტაკლი გათიშული ხმით და მხოლოდ გამოსახულებაზე დაყრდნობით შეექმნათ ტექსტის საკუთარი ვერსია.

სამიზნე კლასებში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით პროცესი განსხვავებულად წარიმართა. კლასში, სადაც არსებობდა შემოქმედებითი დავალებების შესრულების გამოცდილება, პრაქტიკანტი შემოიფარგლა მხოლოდ ინსტრუქციის მიცემით, არ ჩაუტარებია წინასწარი სამუშაოები. გადაწყვეტილება ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ წინასწარ იდეებისა და ვარაუდების გაზიარებას შესაძლოა ურთიერთგავლენა მოეხდინა და შეეზღუდა მოსწავლეთა ინდივიდუალური ხედვები. მოსწავლეები იმთავითვე ენთუზიაზმით ჩაერთნენ მუშაობაში.

გაცილებით უფრო რთული სტრუქტურირება დასჭირდა მუშაობას კლასში, სადაც არ არსებობდა შემოქმედებითი დავალებების შესრულების გამოცდილება. აქტივობის განხორციელებას შეწყვილებული გაკვეთილი დასჭირდა. პრაქტიკანტის სიტყვებით, როცა მოსწავლეებმა დაინახეს ლეპტოპი და მუშაობისათვის განკუთვნილი ფურცლები, მოისმინეს რას გააკეთებდნენ, ისინი შფოთვამ შეიპყრო და ნაწილმა გაკვეთილის დატოვების სურვილიც გამოთქვა. ამ ფსიქოლოგიური ბარიერების დაძლევის მიზნით პრაქტიკანტმა გააკეთა განცხადება, რომ დავალებას შეასრულებდა მხოლოდ ის, ვისაც სურვილი ექნებოდა, დანარჩენებს შეეძლოთ მხოლოდ ეყურებინათ სპექტაკლისთვის და წინასწარ განხილვის დროს სურვილისამებრ გამოეთქვათ მოსაზრებები. ასევე, აღნიშნა, რომ შესრულებულ დავალებას კლასს გაუზიარებდნენ და მასწავლებელს გადასცემდნენ მხოლოდ საკუთარი სურვილის შემთხვევაში.

ქვიშის სპექტაკლის ყურების შემდეგ მოსწავლეთა მსჯელობის პროცესში ჩართვასაც განსხვავებული მიდგომები დასჭირდა, პრაქტიკანტმა პირველ რიგში სთხოვა მოსწავლეებს აღნიშნათ, როგორი განწყობა დაეუფლათ სპექტაკლის ნახვის შემდეგ, რითი იყო ეს განწყობა გამოწვეული. მოსწავლეთა უმრავლესობამ საკუთარი განწყობა დაუკავშირა სპექტაკლში გამოყენებულ მუქ ფერებს, ერთადერთი ფერადი საგნის, ქოთნის ყვავილების

ცაში გაფრენა და ქალაქის სრულ უფერულებაში დარჩენა მათთვის სევდის, ნაღველის მომგვრელი იყო, აღნიშნეს, რომ გული ეტკინათ, მოიწყინეს... ამის შემდეგ პრაქტიკანტმა სთხოვა მოსწავლეებს ხელახლა ენახათ სპექტაკლი და დაკვირვებოდნენ დეტალებს, ჩაენიშნათ, დაფიქრებულყვნენ იმაზე, თუ რა ხდებოდა. ჩანიშვნების გაკეთების შემდეგ ისევ ნახეს სპექტაკლი პაუზებით, აღწერეს ცალკეული ეპიზოდები და გამოთქვეს მოსაზრებები, რა ხდებოდა. ამ პროცესში პრაქტიკანტმა მოახერხა ჩაერთო დაბალი მზაობისა და ძლიერი ფსიქოლოგიური ბარიერების მქონე მოსწავლეებიც. მათ აღწერეს რას ხედავდნენ, ცალკეულ შემთხვევაში გამოთქვეს მოსაზრებებიც, ვინ იყო პერსონაჟი და რას აკეთებდა. მოსწავლეების გაქტიურების მიზნით პრაქტიკანტმა ეფექტურად გამოიყენა პოზიტიური უკუკავშირი, შეაქო მოსწავლეები ყოველი შემჩნეული დეტალისათვის. მისი სიტყვებით, ასეთმა მიდგომამ მეყსეული შედეგი გამოიღო, მოსწავლეები თანდათან გააქტიურდნენ, უფრო თამამად პასუხობდნენ, გაკვეთილის ბოლოს კი თავად იჩენდნენ პასუხების გაცემის ინიციატივას.

დავალების შესრულების დროს პრაქტიკანტმა მოსწავლეებს მისცა არჩევანის უფლება: მათ შეეძლოთ შეექმნათ ტექსტის სრული წერილობითი ვარიანტი, შეეძლოთ გაეკეთებინათ მოკლე ჩანაწერები და ამის საფუძველზე ზეპირად წარმოედგინათ მათ მიერ მოფიქრებული ამბავი, ან ჩანაწერების გარეშე გადმოეცათ ამბავი, სურვილის შემთხვევაში აღეწერათ ან დაეხატათ მათთვის საყურადღებო ეპიზოდი. ასევე, ისევ დაზუსტდა, რომ კლასის წინაშე წარდგენა ან მასწავლებლისთვის საკუთარი ნაშრომის გადაცემა არ იყო სავალდებულო.

პრაქტიკანტის მიერ შერჩეული მიდგომა წარმატებული აღმოჩნდა. ყველა მოსწავლემ შექმნა ტექსტის საკუთარი ვარიანტი, თუმცა ზოგმა მხოლოდ ზეპირად ისურვა მისი გაცნობა კლასისთვის, ზოგმა კი წერილობით წარმოადგინა და მასწავლებელს გადასცა საკუთარი ნაშრომი. წერილობით წარდგენილ ნაშრომებში აშკარად იგრძნობოდა წერის აკადემიური უნარების ნაკლებობა, მათი ნაწილი მცირე მოცულობის იყო (სულ 4–5 სტრიქონი), თუმცა იყო რამდენიმე ვრცელი ნაშრომიც.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ვარიანტებში მოსწავლეებმა შეძლეს აღექვათ და გადმოეცათ სპექტაკლის მთავარი პათოსი – რაღაც ძვირფასისა და ამაღლებულის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. ამასთან, შექმნილი სიუჟეტები მრავალფეროვანი იყო,

არ იგრძნობოდა წინასწარ გამოთქმული მოსაზრებების ურთიერთგავლენა. მოსწავლეებმა დააკავშირეს ამბავი: დედის დაკარგვასთან, ბავშვობის დასრულებასთან, წარსულის მონატრებასთან, საყვარელ ადამიანთან დაშორების ტკივილთან... იყო გადმოცემული მხოლოდ ცალკეული ეპიზოდებიც, სადაც პერსონაჟის ფიქრებში ჩანდა რა ხდებოდა, წარმოდგენილი იყო სიუჟეტის რევერსული ვარიანტიც, სადაც სპექტაკლის პირველი სცენა აღქმული იყო მომენტად, როცა პერსონაჟი იხსენებს წარსულს.

პროცესში პრაქტიკანტმა გამოიყენა მხოლოდ პოზიტიური უკუკავშირი. ყოველი ნაშრომის გაცნობის შემდეგ აღნიშნავდა მხოლოდ იმას, რა გამოუვიდა მოსწავლეს კარგად, რა იყო საინტერესო მის მიერ წარდგენილ ვარიანტში. ამგვარი მიდგომის შედეგად მოსწავლეებს შეექმნათ ფსიქოლოგიური უსაფრთხოების განცდა, გაუძლიერდათ საკუთარი ნააზრევის გაზიარების მოტივაცია. აღსანიშნავია, რომ საკუთარი მოფიქრებული ამბის კლასისთვის გაზიარების ინიციატივა აქტიურად გამოიჩინეს დაბალი მზაობის მოსწავლეებმაც. საყურადღებოა შემთხვევა, როცა ნაშრომის წაკითხვა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო ტექსტის გაუმართაობის გამო, თუმცა საუბრისას გასაგები გახდა, რომ მოსწავლემ შექმნა ორიგინალური და საინტერესო ამბავი.

საკუთარი ვარიანტების წარდგენის შემდეგ მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი გაცნობოდნენ ტექსტის ავტორისეულ ვარიანტს. მარტივად აღიქვეს სიუჟეტი. გამოხატეს საკუთარი დამოკიდებულება. კითხვაზე რა იგრძნეს ტექსტის გაცნობის შემდეგ? საკუთარი ემოციები აღწერეს სიტყვებით: დაღონება, მოწყენა, გულისტკივილი, გაბრაზება... ამ გზით პრაქტიკანტი დაეხმარა მოსწავლეებს, გაეაზრებინათ, რომ მიუხედავად სიუჟეტური სხვაობისა ტექსტის მთავარი სათქმელი უშუალოდ ეხმიანებოდა მათ მიერ გამოგონილ ამბებს.

პროცესის განსაკუთრებულ ღირებულებაზე მკაფიოდ მეტყველებს მოსწავლეთა ემოციები, რომლებიც გამოხატეს გაკვეთილის ბოლოს. პრაქტიკანტის სიტყვებით, ყველა მოსწავლე კმაყოფილი და ხალისიანი იყო. ერთხმად გამოთქვეს სურვილი, რომ ხშირად ჩატარებოდათ ასეთი გაკვეთილები.

მეორე კლასში, სადაც შემოქმედებითი დავალებების შესრულება სწავლა-სწავლების მუდმივი კომპონენტი იყო, მოსწავლეებმა პრაქტიკანტის განსაკუთრებული ძალისხმევის

გარეშე გაართვეს თავი დავალებას და უმეტესწილად წარმოადგინეს საკმაოდ ვრცელი და ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით უფრო გამართული ვარიანტები. ერთი შეხედვით, პროცესი ნაკლებად საინტერესო იყო. თუმცა, გამომჟღავნდა ერთი მეტად საყურადღებო ფაქტორი – საზოგადოებრივი მოვლენების გავლენა არასრულწლოვანთა ცნობიერებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე კლასებში აქტივობა განხორციელდა სხვადასხვა პერიოდში. მოცემულ კლასში შემოქმედებითი წერა ჩატარდა მაისის ბოლოს, მწვავე საზოგადოებრივი აქტიურობის პერიოდში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის (26 მაისი) შემდეგ, რაც აშკარად აისახა ნაშრომების თემატიკაში. მოსწავლეებმა უმეტეს შემთხვევაში ამბავი სამშობლოს დამოუკიდებლობის, თავისუფლების დაკარგვის, პიროვნული და ეროვნული ღირებულებების ასპექტში გაშალეს. მსგავსი თემები არ გააქტიურებულა კლასში, სადაც მუშაობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მშვიდ პერიოდში ჩატარდა. შედეგმა აშკარად აჩვენა რამდენად სენსიტიურები არიან მოზარდები გარემოცველი სამყაროში მიმდინარე მოვლენების მიმართ, რა გავლენას ახდენს მსგავსი პროცესები მათ ღირებულებებსა და მსოფლმხედველობაზე.

სამიზნე კლასებში განხორციელებული შემოქმედებითი წერის აქტივობის ანალიზის ეტაპზე გაკეთდა საყურადღებო დასკვნები:

- შემოქმედებითი დავალებების შესრულება მამოტივირებელია და ხელეწიფება, ფაქტობრივად, ყველა მოსწავლეს, მიუხედავად მისი მზაობისა და ფსიქო-ემოციური მახასიათებლებისა, იმ შემთხვევაში თუ გამოვიყენებთ შესაბამის მიდგომებს.
- მთავარია, მოსწავლეებს შევუქმნათ ემოციურად უსაფრთხო გარემო, ვაგრძნობინოთ მხარდაჭერა, გამოვავლინოთ გულწრფელი ინტერესი მათი პასუხების მიმართ, მივცეთ საშუალება ახსნან საკუთარი ნააზრევი.
- შემოქმედებით პროცესებში ყველა მოსწავლის წარმატების საფუძველს ქმნის მოქნილი სკაფოლდინგის, უნივერსალური დიზაინის პრინციპებისა და დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. მნიშვნელოვანია ასეთი დავალებების დროს აქცენტი გაკეთდეს მხოლოდ პოზიტიურ უკუკავშირზე.

მსჯელობის პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ შემოქმედებითი წერა საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაეცნოს მოსწავლის შიგა სამყაროს, გააცნობიეროს მისი მისწრაფებები,

ღირებულებები, წუხილები, რაც შეიძლება ეფექტურად იქნას გამოყენებული მათი პიროვნული განვითარებისა და სწავლის მართვის მიზნით.

დასკვნისთვის ვიტყვით, რომ არ არსებობს ფაქტორები, რომლებიც გამართლებდა სასწავლო პროცესში შემოქმედებითი დავალებების, მათ შორის, შემოქმედებითი წერის, იგნორირებას. ტექნიკური და მატერიალური შეზღუდვა ვერ გამოდგება გამამართლებელ საბუთად. პროცესის წარმართვა შესაძლებელია საყრდენი სიტყვების, 1 ან რამდენიმე ილუსტრაციის გამოყენებით, ამბის დასაწყისის გაცნობით, ამავე ტიპის დავალებებს განეკუთვნება გაცნობილი ტექსტის გაგრძელების შექმნა... პროცესის წარმატებას ფაქტობრივად მხოლოდ მასწავლებლის დამოკიდებულებები, სტრატეგიებისა და მეთოდების მიზნობრივი გამოყენება უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ინასარიძე, მ.(2018, თებ.14). შემოქმედებითი აზროვნების შესახებ. maswavlebeli.ge, ინტერნეტგაზეთი.
ლომიძე, ნ. (2020,იანვ.20). შემოქმედებითი წერის ტექნიკა და ფანტაზიის გამოყენება: maswavlebeli.ge, ინტერნეტგაზეთი.
შემოქმედებით აზროვნების მნიშვნელობა და მისი განვითარება. <https://edu.aris.ge/news/semogmedebiti-azrovnebis-mnisvneloba-da-misi-ganvitareba.html>
Gefry B., Craft A. (2004, March) Teaching Creatively and Teaching for Creativity. *Educational Studies*. 30(1), 77-87

Lela Edzgeradze
Akaki Tsereteli State University
Ana Kartsivadze
Akaki Tsereteli State University
Monika Gegenava
Akaki Tsereteli State University

Challenges and Benefits of Creative Writing

Abstract

In this paper, we present an analysis of the creative writing outcomes that were conducted in two different classrooms. During pedagogical practice, students used the same resource to carry out a creative writing activity. The resource was a sand theater performance based on Guram Petriashvili's "Man Who Loves Rain." Pupils watched the performance without sound and created their own version of the text that was based solely on image. Also, it is important that target classes' experience and academic readiness were quite different. Additionally, the activity was conducted at different times.

The process of implementation and analysis of the pupils' works showed that: Regardless their readiness and experience, all pupils actively participated in the process and were able to create interesting work that reflected their individual perspective. Their work was diverse, and practically all of them captured the essential pathos of the text: the pain caused by loss of something precious and sublime.

The difference between experience and academic readiness was reflected in length of the works, organization of the text, quality of sentence development, structural coherence, and adherence to spelling norms.

The period of implementation influenced the content of the works. In the class where the lesson was conducted during a time of public activism, pupils emphasized themes of national independence, loss of freedom, and personal and national values.

The student-teacher had to focus on overcoming psychological barriers in the class with pupils who lacked the necessary experience. She used support and encouragement strategies and successfully managed the problem.

In conclusion, we would like to emphasize that creative tasks should be an integral part of classroom practice because: Such tasks help pupils with self-expression and foster personal development. They provide valuable insights into pupils' inner worlds, values, concerns, and aspirations. All pupils can perform these tasks if strategies and activities tailored to their needs are applied.

Keywords: creative writing, pupils' experience and readiness, pupils' inner world, psychological barriers, teaching strategies.